



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 8  
24/02/2017

8-04-4-201702241630



**პეტიციების განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

2016 წლის 26 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა ამომრჩეველთა მიერ ხელმოწერილი პეტიციები, რომლებიც შეეხებოდა საგზაო უსაფრთხოების საკვების მოწყობას (შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა), დაბის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკირების ადგილების გამოყოფას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, ყველა საჯარო საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვას, სოფლებში, დაბაში და ტერიტორიულ ერთეულებში აბრებისა და ნიშნულების მოწყობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის 11-ე პუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის 11-ე პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 სექტემბრის №01-07/21 სხდომის გადაწყვეტილებით განცხადებები უფლებამოსილების შესაბამისად, გადაიგზავნა ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის (გამგებლისათვის).

პეტიციები განხილული იქნა გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ და შედეგების შესახებ ინფორმაცია (გამგებლის 2016 წლის 04 ოქტომბრის №03/18730 წერილი, შემოსული კორესპოდენციის საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის №267/04; 19/10/2016) მოწოდებული იქნა საკრებულოსათვის.

ქედის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს ეთხოვა პეტიციის განხილვების შესახებ ანგარიშის/ინფორმაციის დამატებით წარმოდგენა.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ცნობად იქნეს მიღებული პეტიციების განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - მალვინა სურმანიძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

A handwritten signature in blue ink, consisting of a series of loops and a long horizontal stroke.

საკრებულოს თავმჯდომარე

### პეტიციათა განხილვის შედეგების შესახებ ანგარიში

1. დაბა ქედის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკირების ადგილის გამოყოფისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის დაგეგმილია მდინარე აჭარისწყლის სანაპიროზე ახლად ათვისებული ტერიტორიის გამოყენება, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები, მისი დასრულებისთანავე დაიგეგმება ავტოსადგომის მოწყობა.

2. მუნიციპალიტეტის სოფლებში, დაბასა და ტერიტორიულ ერთეულებში აბრებისა და ნიშნულების მოწყობისათვის თხოვნით მიემართა აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს, გადაეცა დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი და მათგან მიღებულია თანხმობა შესაბამისი აბრებისა და ნიშნულების განთავსებაზე.

3. მუნიციპალიტეტში შემავალ ბავშვთა ბაგა-ბაღების ეზოების და ბავშვთა გასართობი კუთხეების მოწყობისათვის მიღებულია შესაბამისი ზომები. გასულ წელში კეთილმოეწყო დაბა ქედის N1 და N2, ოქტომბრის და ნამლისევის ბაგა- ბაღის ეზოები. მიმდინარე წელში დაგეგმილია დოლოგნის და წონიარისის ბაგა- ბაღებში შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

4. საავტომობილო გზებზე სახიფათო მოსახვევების მოწესრიგების კუთხით, გამგეობამ კომპეტენციის ფარგლებში გაატარა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, დაგეგმილია დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთის გაფართოება. საგზაო დეპარტამენტის მიერ საჯარო სკოლების მიმდებარედ, ცენტრალურ გზაზე განთავსებულია ხელოვნური ბარიერები, გამგეობის მიერ შეძენილია და დამონტაჟებულია ვიდეოთვალეები. ასევე, ცენტრალური საავტომობილო გზის შევიწროებული მონაკვეთების და მოსახვევების გაფართოებისათვის, დაბა ქედის შესასვლელსა და სოფელ გობრონეთთან გზის ავარიული მოსახვევის გაფართოების მიზნით, საკითხი წერილობით დასმული იქნა საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, საიდანაც მიღებულია თანხმობა სამუშაოების დაგეგმარების თაობაზე.